ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48252187
თარიღი:06/08/2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" პუნქტის ,,ა.თ." ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა'' პუნქტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორთა რაოდენობა განისაზღვროს სამი ერთეულით, ხოლო სტაჟირების ვადა - 4 თვით.

2. სტაჟიორები მიღებულ იქნან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურში, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილებაში და საქმისწარმოების განყოფილებაში.

3. სტაჟიორების მენტორებად განისაზღვრონ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხელს უწყობს სტაჟიორის პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

4. სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (შემდგომში – ადმინისტრაცია) მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით. სტაჟირების გამოცხადების და მისი ჩატარების ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.

5. სტაჟირების გამოცხადების შესახებ განაცხადი განთავსებულ იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, (tskaltubo.gov.ge).

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს ვახტანგ ნადარეიშვილს.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი